

ძალაშია 1999 წლის 29 ივლისიდან

## შეთანხმება

### საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდეგში "მხარეებად" წოდებულნი,

სურთ, ნაცვალგების საფუძველზე განაწილონ სამგზავრო და საგვირო საავტომობილო მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის და გრანზიტით მათ გერიგორიებზე, ასევე სურთ გაამარგიონ ეს მიმოსვლა,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1

ამ შეთანხმების შესაბამისად ხორციელდება მგზავროთა, გურისგების ჩათვლით, რეგულარული და არარეგულარული გადაყვანა, და გვიროთის გადაზიდვა ორ ქვეყანას შორის, და გრანზიტით მათ გერიგორიაზე საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლისათვის გახსნილ გზებზე, საქართველოს რესპუბლიკაში ან უზბეკეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული ავტოსაგრანსპორტო საშუალებებით.

#### მუხლი 2

1. ავტობუსებით მგზავროების რეგულარული გადაყვანის ორგანიზაცია ხდება მხარეთა კომპეტენტურ ორგანოებს შორის შეთანხმებით.

2. მგზავროების ასეთი გადაყვანის ორგანიზების წინადადებებს მხარეთა კომპეტენტური ორგანოები წინასწარ წარუდგენენ ერთმანეთს. ეს წინადადებები უნდა შეიცავდეს გადაზიდვის დასახელების, სვლაგების, მოძრაობის განრიგის, გარიფების, გაჩერების პუნქტების, სადაც გადაზიდვაი განახორციელებს მგზავროების ჩასმას და გადმოსხმას, და აგრეთვე, გადაყვანების შესრულების მოსალოდნელი პერიოდულობისა და რეგულარობის მონაცემებს.

#### მუხლი 3

1. ორ ქვეყნის გერიგორიებზე მგზავროთა გრანზიტული გადაყვანა ხორციელდება ნებართვის გარეშე.

2. ნებართვა არ მოითხოვება ორ ქვეყანას შორის მგზავროთა არარეგულარული გადაყვანის შესრულებისას, ასევე, გაუმართავი ავტოსაგრანსპორტო საშუალების შეცვლისას.

#### მუხლი 4

გვიროთის გადაზიდვა ორ ქვეყანას შორის და გრანზიტით მესამე ქვეყნებში, ხორციელდება ავტოსაგრანსპორტო საშუალებებით მხარეთა კომპეტენტური

ორგანოების მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მათ შორის შეთანხმებული ქვოცების ფარგლებში.

### **მუხლი 5**

1. ამ შეთანხმების მე-4 მუხლში აღნიშნული ნებართვები არ მოითხოვება გადაზიდვებისთვის:

ა) ბაზრობებისა და გამოფენებისათვის გამიზნული ექსპონატების, მოწყობილობებისა და მასალების;

ბ) საგრანსპორტო საშუალებების, ცხოველების, ასევე, სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად გათვალისწინებული სხვადასხვა ინვენტარისა და ქონების;

გ) თეატრალური დეკორაციებისა და რეკვიზიტების, მუსიკალური ინსტრუმენტების, კინოგადაღებების, რადიო და სატელევიზიო გადაცემებისათვის გამიზნული მოწყობილობებისა და აღჭურვილობის;

დ) მიცვალებულთა ნეშტისა და გვამების;

ე) ფოსტის;

მ) დამიანებული საგრანსპორტო საშუალებების;

თ) გადასახლებისას მოძრავი ქონების;

ი) სტიქიური უბედურების შემთხვევებში დახმარების აღმოსაჩენად გათვალისწინებული გვირთის;

კ) ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად განკუთვნილი გვირთის გადაზიდვების შესრულებისას.

ნებართვა არ მოითხოვება აგრეთვე ტექნიკური დახმარების ავტომანქანების გადაადგილებისას.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის “ა”, “ბ”, “გ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისები მოქმედებენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ გვირთი ექვემდებარება დაბრუნებას იმ ქვეყანაში, სადაც რეგისტრირებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალება, ან, თუ გვირთი გადაიტანება მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე.

### **მუხლი 6**

გადაზიდვას უფლება აქვს განახორციელოს გვირთების გადაზიდვა მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიიდან მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე მესამე ქვეყნის ტერიტორიიდან მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მხარეთა კომპეტენტურ ორგანოთა მიერ ურთიერთ გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე.

### **მუხლი 7**

1. ერთ-ერთი მხარის ავტოგრანსპორტით მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე საშიში გვირთების გადაზიდვა ხორციელდება მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული სპეციალური ნებართვით.

2. იმ შემთხვევაში, თუ, დაგვირთული ან დაუგვირთავი ავტოსაგრანსპორტო საშუალებების წონა და გაბარიტები აღემატება მეორე მხარის სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს, გადაზიდვამა ამ მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან უნდა მიიღოს სპეციალური ნებართვა.

3. თუ ამ მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში აღნიშნულ ნებართვებში მითითებულია

გადაზიდვების განსაზღვრული სვლაგეზი, მაშინ გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ამ სვლაგეზით.

### **მუხლი 8**

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული გვირთების გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ბედდებულებით, რომელთა ფორმა უნდა შეესაბამებოდს საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო ნიმუშს.

### **მუხლი 9**

ერთ-ერთი მხარის გადაზიდვების მიერ მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მგზავრების გადაყვანა და გვირთების გადაზიდვა ხორციელდება ამ შეთანხმების საფუძველზე.

ავგოსაგრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ანხორციელებენ ამ გადაზიდვებს, ქვოგების შესაბამისი ნებართვების არსებობისა, თავისუფლდებიან გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, გარდა უფასო ალტერნატიული გზების არსებობისა ფასიანი გზების გამოყენებით სარგებლობის გადასახადებისა.

### **მუხლი 10**

საერთაშორისო გადაზიდვების განმახორციელებელ ავგოსაგრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ თავისი ქვეყნის სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები. მისაბმელებს და ნახევარმისაბმელებს შეიძლება ჰქონდეთ სხვა ქვეყნების სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები იმ პირობით, რომ საგვირთო ავგომობილებსა და საავგომობილო საწვევარებს ექნებათ საქართველოს რესპუბლიკის ან უზბეკეთის რესპუბლიკის სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები.

### **მუხლი 11**

გადაზიდვას არ ეძლევათ უფლება განახორციელოს მგზავრების გადაყვანა და გვირთის გადაზიდვა მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებულ ორ პუნქტს შორის.

### **მუხლი 12**

ამ შეთანხმების საფუძველზე მგზავრთა გადაყვანა და გვირთის გადაზიდვა ხორციელდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინასწარი დაზღვევის აუცილებლობის პირობით. გადაზიდვა ვალდებულია წინასწარ დააზღვიოს თითოეული ავგოსაგრანსპორტო საშუალება, რომელიც ასრულებს აღნიშნულ გადაზიდვებს.

### **მუხლი 13**

ამ შეთანხმების დებულებების დარღვევის შემთხვევაში, იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები, სადაც დარღვევები აღიარებულია ავგოსაგრანსპორტო საშუალება, ვალდებული არიან მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოების თხოვნით, რომლის ტერიტორიაზეც ჰქონდა ადგილი დარღვევას, მოქმედი კანონმდებლობის მიუხედავად, გააგარონ ერთ-ერთი შემდეგი ღონისძიება:

- ა) გაფრთხილება მისცენ გადაზიდვას;
- ბ) გაფრთხილება მისცენ გადაზიდვას განცხადებით, რომ დარღვევის განმეორების შემთხვევაში განსაზღვრული ვადით შეჩერდება ნებართვა გადაზიდვების

განხორციელებაზე, ან გაუქმდება ამ კარის გ) პუნქტის თანახმად;

გ) განსაზღვრული ვადით შეაჩერონ, ან გააუქმონ ამ შეთანხმების საფუძველზე გაცემული ნებართვა.

2. მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს შეაგყობინებენ გაცარებული ღონისძიებების შესახებ.

#### **მუხლი 14**

სასაზღვრო, საბაჟო და სანიტარულ კონტროლთან დამოკიდებულებაში გამოყენებულ იქნება დებულებები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, რომელთა მონაწილე არის ორივე მხარე, ხოლო ამ ხელშეკრულებებით დარეგულირებული საკითხების გადაწყვეტისას, გამოყენებულ იქნება თითოეული მხარის სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა.

#### **მუხლი 15**

მძიმე ავადმყოფებისა და ავტობუსებით მგზავრების რეგულარული გადაყვანის, ასევე ცხოველების გადაყვანისა და მალფუჭებადი ტვირთის გადაგანის შემთხვევაში სასაზღვრო, საბაჟო და სანიტარულ კონტროლი განხორციელდება რიგგარეშე.

#### **მუხლი 16**

ამ შეთანხმების საფუძველზე გადაზიდვების შესრულებისას საბაჟო მოსაკრებლებისა და ნებართვებისაგან თავისუფლებიან ნაცვალგების საფუძველზე მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესაგანი:

ა) საწვავი, რომელიც მოთავსებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალების თითოეული მოდელისათვის გათვალისწინებულ, ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად დაკავშირებულ ავზებში.

ეს ვრცელდება მხოლოდ იმ საწვავზე, რომელიც მოთავსებულია დამამზადებელი ქარხნის მიერ ავტომობილებზე და საავტომობილო საწვევებზე დაყენებულ ავზებში ასევე იმ საწვავზე, რომელიც მოთავსებულია მისაბმელებზე და ნახევარმისაბმელებზე დაყენებულ ავზებში, რომლებიც გამიზნული არიან რეფრეკერატორების სამაცივრო დანადგარების მუშაობისათვის;

ბ) საპოხი მასალები, იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა გამოსაყენებლად გადაზიდვის განმავლობაში;

გ) სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები, რომლებიც გამიზნულია იმ ავტოსაგრანსპორტო საშუალების რემონტისათვის, რომელიც ასრულებს საერთაშორისო გადაზიდვებს.

2. გამოუყენებელი სათადარიგო ნაწილები ექვემდებარება უკან გაგანას, ხოლო გამოცვლილი სათადარიგო ნაწილები გაგანილ უნდა იქნეს ქვეყნიდან, ან ჩაბარდეს შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე დადგენილი წესით.

#### **მუხლი 17**

1. ავტობუსის ან სატვირთო ავტომობილის მძღოლმა თან უნდა იქონიოს მის მიერ მართული ავტოსაგრანსპორტო საშუალების კატეგორიის შესაბამისი ეროვნული ან საერთაშორისო მართვის მოწმობა და ავტოსაგრანსპორტო საშუალების ეროვნული სარეგისტრაციო დოკუმენტები.

2. მძღოლის მართვის ეროვნული ან საერთაშორისო მოწმობა უნდა

შეესაბამებოდეს საგზაო მოძრაობის შესახებ საერთაშორისო კონვენციით დადგენილ ნიმუშს.

3. ნებართვები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მოითხოვება ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისად, უნდა იყოს მძლოლთან, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან და წარდგენილ იქნან კომპეტენტური მაკონტროლებელი ორგანოების მოთხოვნით.

### **მუხლი 18**

ამ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული გადასახადები იწარმოებს მხარეთა შორის გადახდის დღეს გადახდის შესახებ მოქმედი შეთანხმებების შესაბამისად.

### **მუხლი 19**

ერთ-ერთი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე რეგისტრირებული საგრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟი და გადამზიდავი ვალდებული არიან დაიცვან ქვეყნის მოძრაობის წესი და კანონი, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ავტოსაგრანსპორტო საშუალება.

### **მუხლი 20**

ამ შეთანხმებით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილედ ითვლება ორივე მხარე, დაურეგულირებელი საკითხები, გადაწყდება თითოეული მხარის სახელმწიფოს შიგნით კანონმდებლობების თანახმად.

### **მუხლი 21**

მხარეები, ყველა საკითხებს, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ამ შეთანხმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და კონსულტაციების გზით, ასევე, ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან შემდგარი შერეული კომისიის შექმნის გზით.

### **მუხლი 22**

ეს შეთანხმება არ ეხება მხარეთა მიერ დადებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს.

### **მუხლი 23**

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის იმ 30 დღის გასვლის შემდეგ, როდესაც მხარეები დიპლომატიური არხების მეშვეობით ერთმანეთს შეაგყობინებენ, რომ თითოეულ ქვეყანაში შესრულებულია მის ძალაში შესასვლელად აუცილებელი საკანონმდებლო პროცედურები.

2. ეს შეთანხმება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და ინარჩუნებს თავის მოქმედებას იმ დღიდან 90 დღის გასვლამდე, როდესაც, ერთ-ერთი მხარე დიპლომატიური არხებით შეაგყობინებს მეორე მხარეს თავისი სურვილის შესახებ შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება.

შესრულებულია: ქ. გაშკენგში, 1995 წლის 4 სექტემბერს, ორ პირად, ქართულ, უზბეკურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

ამ შეთანხმების განმარტებისათვის გამოიყენება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

უმბეკეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

**აღმასრულებელი ოქმი**  
**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უმბეკეთის რესპუბლიკის**  
**მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების**  
**გამოყენების თაობაზე**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უმბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ქ. ტაშკენტში, 1995 წლის 4 სექტემბერს ხელმოწერილი საავტომობილო მიმოსვლის შეთანხმების გამოყენების მიმართ

მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. დასახლებულ შეთანხმებაში კომპეტენტურ ორგანოებად მიჩნეულ უნდა იქნას: საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან

ა) 2,4,6,7,13,17,18,21,22,23 მუხლებით საქართველო რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი, 380060, ქ. თბილისი, ყაზბეგის პრ. 12, ტელ.: 364895; 368166, ტელექსი – 212281, რისნი;

7,13,17 მუხლებით – საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, 380014, ქ. თბილისი, დიდი ხეივანის ქ. 7, ტელ.: 969600; 960349 და სახელმწიფო კონცერნი “საქავტოგზა”, 380060, ქ. თბილისი, გაგარინის ქ. 29ა, ტელ.: 376609; 376207.

უმბეკეთის რესპუბლიკის მხრიდან

2.4.6.7.13.17.18.21.22.23 მუხლებით – უმბეკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სააქციონერო საავტომობილო ტრანსპორტის კორპორაცია, 700000, ქ. ტაშკენტი, ამირ-თემურის ქ. 6, ტელ.: 33-61-48, ფაქსი 33-15-25.

ბ) 7,13,17 მუხლებით – უმბეკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, 700000, ქ. ტაშკენტი, ლოპატინის ქ. 1, ტელ.: 33-41-35; სახელმწიფო-სააქციონერო კონცერნი “უმავტოგზა” 700000, ქ. ტაშკენტი, პუშკინის ქ. 68ა, ტელ.: 39-14-06; 39-45-87; ფაქსი – 68-27-11.

2. დასახლებულ შეთანხმებაში გაგებულ უნდა იქნას:

2.1. ტერმინი “ავტოსატრანსპორტო საშუალება”:

ტვირთების გადაზიდვისას – საგვირთო ავტომანქანა, საგვირთო ავტომანქანა მისაბმელით, საავტომობილო საწვევარი ან საავტომობილო საწვევარი ნახევარმისაბმელით;

მგზავრთა გადაყვანისას – მგზავრთა გადაყვანისათვის განკუთვნილი და მძღოლის გარდა არანაკლებ 8 დასაჯდომი ადგილის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალება, ასევე მისაბმელი ან ბარგის გადასაზიდი სპეციალური საგვირთო ავტომანქანა.

2.2. ტერმინი “რეგულარული გადაზიდვები” – წინასწარ შეთანხმებული განრიგით, საწყისი და საბოლოო და გაჩერების პუნქტების ჩვენებით, მოძრაობის სვლაგებით მხარეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით განხორციელებული გადაზიდვები.

2.3. ტერმინი “არარეგულარული გადაზიდვები” – ყველა დანარჩენი გადაზიდვები.

2.4. ტერმინი “საგრანზიგო გადაზიდვები” – ერთ-ერთი მხარის ტერიტორიის გავლით მგზავრთა გადაყვანა და გვირთის გადაზიდვა, რომლის დროს გამგზავრებისა და დანიშნულების პუნქტები არ არის ამ მხარის ტერიტორიაზე.

2.6 7 კარით ავტოსაგრანსპორტო საშუალების საერთო ზღვრულ წონად ითვლება 42 ტონა, გარდა შემლუდვების გამონაკლისი შემთხვევებისა.

3. ამ შეთანხმების 4, 5, 6 და 7 მუხლებში ნახსენები ნებართვების გაცვლის პირობები და მათი გამოყენების წესი გაფორმდება მხარეთა კომპეტენტურ ორგანოებს შორის შესაბამისი ოქმით.

4. შეთანხმების 14 და 15 მუხლებში – სანიტარული კონტროლის ქვეშ იგულისხმება სანიტარული, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული კონტროლი.

5. ეს ოქმი ძალაში შედის შეთანხმებასთან ერთად.

ეს ოქმი ხელმოწერილია ქ. ტაშკენტში, 1995 წლის 4 სექტემბერს, ორ პირად, თითოეული ქართულ, უზბეკურ და რუსულ ენებზე, ამასთან, ყველა ტექსტს თანაბარი ძალა აქვს. ამ შეთანხმების დებულებების ახსნა-განმარტებისას განსხვავების წარმოშობის შემთხვევაში საფუძვლად მიიღება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

უზბეკეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით